GRASS
GEORGIA
აარს „საქართველოს რეფორმების ასოციაცია"
წერილის რეგისტრაციის №: 1
თარიღი: 11 01 2017 წ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
MINISTRY OF EDUCATION AND SCIENCE OF GEORGIA

MES 9 17 00015583

10/01/2017

"ფაქტ-მეტრის" მთავარ რედაქტორს
ბატონ დიმიტრი ავალიანს
ელ.ფოსტა: n.vakhtangashvili@factcheck.ge

ბატონო დიმიტრი,

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში წარმოდგენილი თქვენი 2016 წლის 27 დეკემბრის N331 კორესპონდენციის (სამინისტროში რეგისტრაციის N1184; 03.01.2017) პასუხად, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-10, 28-ე, 37-ე, მე-40 მუხლების, ასევე "საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის "ბ" პუნქტის შესაბამისად, გაცნობებთ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში აპარატსა და სამინისტროს მიერ განხორციელებული პროგრამების ფარგლებში დასაქმებული იყო:

1. 2010 წელს - 27 შტატგარეშე მოსამსახურე;
2. 2011 წელს - 6 შტატგარეშე მოსამსახურე;
3. 2012 წელს - 81 შტატგარეშე მოსამსახურე;
4. 2013 წელს - 177 შტატგარეშე მოსამსახურე;
5. 2014 წელს - 221 შტატგარეშე მოსამსახურე;
6. 2015 წელს - 202 შტატგარეშე მოსამსახურე;
7. 2016 წელს - 181 შტატგარეშე მოსამსახურე.

ასევე გაცნობებთ, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, შტატგარეშე მოსამსახურეები, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში მიღებულ იქნენ არამუდმივ ამოცანათა შესასრულებლად.

2010 წელს სახელფასო ფონდმა შეადგინა:

- შტატგარეშე მომუშავეთა თანამდებობრივი სარგო - 79'474.76 ლარი.

2011 წელს სახელფასო ფონდმა შეადგინა:

0102 ქ.თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. 52
52 Dimitri Uznadze str. Tbilisi 0102, Georgia, www.mes.gov.ge
ტელ/Tel.:(+995 32)2 200 220

- შტატგარეშე მომუშავეთა თანამდებობრივი სარგო - 50’746.33 ლარი.

2012 წელს სახელფასო ფონდმა შეადგინა:

- შტატგარეშე მომუშავეთა თანამდებობრივი სარგო - 703’915.28 ლარი,
- შტატგარეშე მომუშავეთა პრემია - 55’205.00 ლარი.

2013 წელს სახელფასო ფონდმა შეადგინა:

- შტატგარეშე მომუშავეთა თანამდებობრივი სარგო - 900’886.26 ლარი,
- შტატგარეშე მომუშავეთა პრემია - 253’458.00 ლარი,
- შტატგარეშე მომუშავეთა დანამატი -3’380.00 ლარი.

2014 წელს სახელფასო ფონდმა შეადგინა:

- შტატგარეშე მომუშავეთა თანამდებობრივი სარგო -1’290’308.18,
- შტატგარეშე მომუშავეთა პრემია 422’467.00 ლარი.

2015 წელს სახელფასო ფონდმა შეადგინა:

- შტატგარეშე მომუშავეთა თანამდებობრივი სარგო - 1’283’703.65 ლარი,
- შტატგარეშე მომუშავეთა პრემია - 403’644.50 ლარი.

2016 წელს სახელფასო ფონდმა შეადგინა:

- შტატგარეშე მომუშავეთა თანამდებობრივი სარგო - 1’466’573.59 ლარი,
- შტატგარეშე მომუშავეთა პრემია - 548’280.00 ლარი.

აქვე განგიმარტავთ, რომ უფლება გაქვთ მიმართოთ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 47-ე მუხლით დადგენილ რეგულაციებს.

პატივისცემით,

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე
პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურე

სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტი / საჯარო ინფორმაციის გაცემისა და პროაქტიულად გამოქვეყნების სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი
ძიძიგური მარიამი

მ. ძიძიგური